



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 243

ქალაქი ქუთაისი 21 მარტი 2016 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის
25 თებერვლის N116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N116 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს N624 და N631 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან ამოღებული იქნეს N56, N518, N519, N520, N521, N537 და N560 პუნქტები.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
624	მიწის ნაკვეთი	გუგუნავას ქუჩა N18-ის აღმოსავლეთით	607.0	03.05.24.922	25.0 1 კვ.მ.	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
625	მიწის ნაკვეთი	ავტომშენებლის ქუჩა N4-ის ჩრდილოეთით	3695.0	03.01.21.485	25.0 1 კვ.მ.	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
626	მიწის ნაკვეთი	ავტომშენებლის ქუჩა N4-ის ჩრდილოეთით	12060.0	03.01.21.484	25.0 1 კვ.მ.	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
627	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევი N58, ნაკვეთი N1	226.0	03.05.22.560	25.0 1 კვ.მ.	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
628	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევი N58, ნაკვეთი N1	1693.0	03.05.22.558	25.0 1 კვ.მ.	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
629	შენობა-ნაგებობა	გუგუნავას ქუჩა N15-4	1769.0 - მიწა 3172.4 მშენებარე შენობა	03.05.24.847	225 000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
630	შენობა-ნაგებობა	გრიშაშვილის ქუჩა N19	1720.0 მიწა (თანასაკუთრება) 1148.69 არასაცხოვრებელი ფართი	03.04.25.113.01.501	450 000	პირობა: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, უძრავი ქონების საკუთრების უფლების გადაცემიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში მოახდინოს ტერიტორიის შემოღობვა და შენობა-ნაგებობის პროექტის წარმოდგენა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
631	მოდრავი ქონება (მეორადი ნედლეული)	1. რკინა (მასიური) 2. რკინა (არამასიური) 3. ალუმინი (მასიური) 4. ალუმინი (არამასიური) 5. სპილენძი (მასიური) 6. სპილენძი (არამასიური) 7. ლატუნი (მასიური) 8. ლატუნი (არამასიური)	-	-	0.13 0.09 1.30 0.80 5.20 3.10 3.60 2.10	პირობა: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, შექმნილი ქონების წონის დადგენა და სხვა ღონისძიებები განახორციელოს საკუთარი სახსრებით	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში